



MES 8 22 0001652924



26/12/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2022 წლის 12 დეკემბერს 14:00 საათზე. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83294493442?pwd=SktxUGQ5VEdnSmJRS2tNL2k3WDI3QT09>

Meeting ID: 832 9449 3442

Passcode: 105622

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**ზაირა ბერიძე** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

**თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

**ნინო ველთაური** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

**მარიამ ქუჩულორია** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**მარიამ ნოზაძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**მარიამ შოთაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ლელა კიკნაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**სალომე ქუთათელაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს კარტლის აგროსისტემები:**

რობერტ რევია - დირექტორი,

ლელა გვასალია - აკადემიის ხელმძღვანელი,

მაია ხურცილავა - ხარისხის მართვის სპეციალისტი,

სალომე დოდონაძე - „მოცვის ბალის გაშენება და მოვლა“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

გიორგი გიორგაძე - „ვაზის გაშენება და მოვლა“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი.

**სსიპ კოლეჯი „ლაკადა“:**

თეანა ქუხილავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

თამარ მანია - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ცირა ქარდავა - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ნიკოლოზ კიკნაველიძე,

მზია ბერუაშვილი,

მანანა მოისწრაფიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:03 საათზე.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბაბალაშვილი, საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა საბჭოს წევრი ზაირა ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის

განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ /01516/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განესაზღვრათ საბჭოს მდივანი, ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი, საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა გიორგი გამყრელიძე.

საკითხების განხილვა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით.

**1. შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 ნოემბრის №1412180 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ განახორციელეს ვიზიტი შპს კარტლის აგროსისტემებში მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფ. ქვიტირი, I ქუჩა №207.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან,

პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ **ქვესტანდარტი 1.7** - საჭიროა, პროგრამის განხორციელების აგროტექნოლოგიური ვადები ზუსტად განისაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში 5 კვირიან ვადაში აღნიშნული პროგრამის საფუძვლიანად სწავლება შეუძლებელია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

გაიცა ასევე რამდენიმე რეკომენდაცია შემდეგ ქვესტანდარტებთან მიმართებით:

**ქვესტანდარტი 1.6.** - პროგრამის შედეგების დასახელების ფორმულირება საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

**ქვესტანდარტი 1.4 და 1.7-** პროფესიული მომზადების პროგრამა არის სეზონური. პროგრამის აღწერის მიხედვით, „რიგი სწავლის შედეგის მიღწევისთვის მიზანშეწონილია სწავლება განხორციელდეს შემოდგომით ან გაზაფხულზე“, დარგის ექსპერტის მოსაზრებით პროგრამაზე სწავლა უნდა დაიწყოს გაზაფხულზე, თუმცა მოცვთან დაკავშირებული სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია გაიზარდოს კვირების ხანგრძლივობა, გამოიყოს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი საათები და პრაქტიკას დაეთმოს ცალკე კვირები, რაც მთლიანობაში საშუალებას მისცემს მსმენელს თეორიულ ცოდნასთან ერთად განუვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცვის ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯზე, რეალურ საწარმოო პროცესებში.

**ქვესტანდარტი 2.2.** - რეკომენდირებულია, პროგრამაში ჩასწორდეს და მიეთითოს რეალურად არსებული ყველა მატერიალური რესურსი.

შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებაზე, მან აღნიშნა, რომ პროგრამის საჭიროების დასაბუთების მიზნით ორგანიზაციამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომ მოცვის კულტურა სწრაფად ყალიბდება ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტად. საქართველოში საექსპორტო პოტენციალი არ ისაზღვრება რომელიმე ერთი ქვეყნით, არამედ მას გააჩნია ფართო გეოგრაფიული არეალი არაბული ქვეყნებიდან დაწყებული ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის ჩათვლით. ამ კულტურის სამრეწველო გაშენება დაიწყო დაახლოებით 10 წლის წინ, მაგრამ, მასიური ხასიათი შეიძინა 2016 წლიდან. მაგალითისთვის 2011 წელს გაშენებული მოცვის სამრეწველო პლანტაციები არ აღემატებოდა 40-50 ჰექტარს, ხოლო დღეისათვის ერთ წელზე მეტი ასაკის პლანტაციები აღწევს 3000ჰა-ს და გაშენების პროცესი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

2017 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო კარტლისის აკადემიამ (შპს კარტლის აგროსისტემების სასწავლო სტრუქტურა) და ამოქმედების დღიდან აკადემია ფართოდ ჩაერთო მოცვის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწავლების საქმეში. აკადემიაში სწავლების პროცესში ჩართულ ფერმერებთან ურთიერთობამ გამოავლინა ის მიმართულებები, რომლის შესწავლა მათ უჭირდათ დამოუკიდებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის არ არსებობდა მეტნაკლებად პრაქტიკაში გამოსადეგი ინსტრუქციათა კრებული და ფერმერებს ხშირად საკუთარი ან ნაცნობი ფერმერების მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაყრდნობით უწევდათ დაშვებული შეცდომების გამოსწორება, მაგრამ მრავლად ადგილი ჰქონდა გამოუსწორებელი შეცდომების დაშვების შემთხვევებს. რადგან ქვეყანაში არ არსებობდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების საშუალება, ამ ამოცანის შესრულება იკისრა კარტლისის აკადემიამ მისი მაღალკვალიფიციური პერსონალისა და ცნობილი უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, კერძოდ, ფერმერთა განათლების პროგრამების შედგენასა და სწავლებაში აქტიურად არიან ჩართული ისეთი მსოფლიოში ცნობილი კომპანიების სპეციალისტები როგორცაა ესპანური კომპანია „SAS“-ს და ჰოლანდიური კომპანია „დელფი“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწინავე ქვეყნებში მიმდინარეობს განუწყვეტელი მუშაობა მოცვის როგორც ახალი ჯიშების გამოყვანის, ასევე მოვლა-მოყვანის

ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნის საქმეში. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ გაიზარდოს მიღებული მოსავლის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები პროდუქტის თვითღირებულების შემცირების პირობებში. სწორედ ამიტომ აკადემიის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომ ქართველი ფერმერები არ ჩამორჩნენ ამ უახლეს მიღწევებს და არ გახდნენ არაკონკურენტუნარიანები მსოფლიო ბაზარზე, მითუმეტეს, რომ საქართველოში მოყვანილი 95%-ზე მეტი გამიზნულია ექსპორტისათვის. წარმოდგენილ იქნა შრომის ბაზრის საჭიროების კვლევა რეგიონის კონტექსტში, რომელიც განხორციელდა კარტლის აგროსისტემების მიერ 2022 წლის გაზაფხულზე. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოკლევადიანი მომზადების პროგრამების შემუშავების საჭიროების დადგენა იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის და გურიის რეგიონში, კონკრეტულ კულტურებთან მიმართებაში მათი ინტერესი, შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების შეფასება. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით. გამოკითხულია 40 რესპოდენტი, კვლევა ეყრდნობა ასევე მსხვილი ფერმერული მეურნეობების მხრიდან მიღებულ მონაცემებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს შრომის ბაზარზე მოცვის ბალის გაშენებისა და მოვლის კვალიფიციური კადრის მოთხოვნას.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „მოცვის ბალის გაშენება და მოვლა“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და მისი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან.

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს უსაფრთხოდ, თანმიმდევრულად და მაღალი ხარისხით შეასრულოს მოცვის ბალში მიმდინარე აგროტექნოლოგიური ღონისძიებები. „მოცვის ბალის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს მოცვის ბალის გაშენებას, უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღების მიზნით უზრუნველყოფს მოცვის ბალის მოვლას, მოცვის ბალში მავნებელ-დაავადებებისა და სარეველების კონტროლს, სტრესული ფაქტორების მართვას, საირიგაციო სისტემების მოწყობას. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს უსაფრთხოდ, თანმიმდევრულად და მაღალი ხარისხით შეასრულოს მოცვის ბალში მიმდინარე აგროტექნოლოგიური ღონისძიებები.

შემდეგ მან ისაუბრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება.

აპლიკანტების შერჩევა ხდება გასაუბრების საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 5 კვირა, კვირეული საათობრივი დატვირთვა - 10-25 საათი, ჯამში- 90 საათი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, 90 სთ-ში.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის სეზონური. პროგრამის აღწერის მიხედვით, „რიგი სწავლის შედეგის მიღწევისთვის მიზანშეწონილია სწავლება განხორციელდეს შემოდგომით ან გაზაფხულზე“, დარგის ექსპერტის მოსაზრებით პროგრამაზე სწავლება უნდა დაიწყოს გაზაფხულზე, თუმცა მოცვთან დაკავშირებული სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია გაიზარდოს კვირების ხანგრძლივობა, გამოიყოს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი საათები და პრაქტიკას დაეთმოს ცალკე კვირები, რაც მთლიანობაში საშუალებას მისცემს მსმენელს თეორიულ ცოდნასთან ერთად განუვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცვის ბალში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯზე, რეალურ საწარმოო პროცესებში. პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურები გაწერილი აქვს ორგანიზაციას და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და

პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამიდან ნათლად ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი, როგორ გააცნობიერებს მიღებულ ცოდნას და როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას რეალურ სამუშაო გარემოში (მცირე და დიდი ფერმერული მეურნეობები). თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების დასახელების ფორმულირება საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

მაგალითად, მეოთხე შედეგის წარმოდგენილ ფორმულირებაში - „ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა, მისი შედეგების განხილვა, ნიადაგის გამოკვება“ - გაპარულია უზუსტობა და ისე ჩანს, თითქოს სცილდება პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის კომპეტენციის ფარგლებს, ვინაიდან 5 კვირიანი პროგრამის ფარგლებში მომზადებული მსმენელი ვერ შეძლებს ნიადაგის სრული ლაბორატორიული კვლევის განხორციელებას. თუმცა რეალურად როგორც ვიზიტის დროს განმახორციელებლბებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, ისინი გულისხმობენ მხოლოდ ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის მნიშვნელობის სწავლებას და ანალიზის შედეგების წაკითხვა-გაანალიზებას. რეკომენდირებულია მეოთხე შედეგი ჩამოყალიბდეს: „ნიადაგში მჟავიანობისა და ტენიანობის გაზომვა, შედეგების განხილვა და ნიადაგის გამოკვება“. რაც შეეხება მეხუთე შედეგის ფორმულირებას - „მოცვის ბაღში მავნებელ-დაავადებებისა და სარეველების კონტროლი. სტრესული ფაქტორების მართვა“ - რა თქმა უნდა, შესაძლოა, დარჩეს ამავე სახით, თუმცა სასურველი იქნება, თუ მოხდება უფრო მოკლედ ფორმულირება, მაგალითად, „მოცვის ბაღში მცენარეთა მავნე ორგანიზმებისა და სტრესული ფაქტორების მართვა“.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამის საათების სრული რაოდენობა შეადგენს 90 საათს. მაქსიმალური კვირეული დატვირთვა 25 საათია (მე-4 კვირა), დანარჩენ შემთხვევაში კი კვირეული დატვირთვა 10-დან 20 საათამდე მერყეობს. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. თუმცა საჭიროა, პროგრამის განხორციელების აგროტექნოლოგიური ვადები ზუსტად განისაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში 5 კვირიან ვადაში ჩატევა და საფუძვლიანად სწავლება შეუძლებელია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის სეზონური. პროგრამის აღწერის მიხედვით, „რიგი სწავლის შედეგის მიღწევისთვის მიზანშეწონილია სწავლება განხორციელდეს შემოდგომით ან გაზაფხულზე“, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით პროგრამაზე სწავლა უნდა დაიწყოს გაზაფხულზე, თუმცა მოცვთან დაკავშირებული სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია გაიზარდოს კვირების ხანგრძლივობა, გამოიყოს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი საათები და პრაქტიკას დაეთმოს ცალკე კვირები, რაც მთლიანობაში საშუალებას მისცემს მსმენელს თეორიულ ცოდნასთან ერთად განუვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცვის ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების ხარჯზე, რეალურ საწარმოო პროცესებში. რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი სწორადაა დაგეგმილი და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

პროგრამის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესს წარმართავს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც დაწესებულების აუდიტორიაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

შპს კარტლის აგროსისტემებს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორებთან, რაც მაქსიმალურად დაეხმარება მსმენელებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის.

ორგანიზაციამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც განახლებულ იქნა და ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ იქნა განახლებული ხელშეკრულებები იმავე პარტნიორებთან, როგორც ინდ მეწარმესთან და შპს-სთან, კერძოდ შპს მწვანე მდელოსთან და ი/მ დ. თ.-სთან, რომელთანაც გაფორმებულია ოთხწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში, საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებას.

ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა (დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების) უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, ასევე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა.

პარტნიორები უზრუნველყოფენ პროფესიული მომზადების პროგრამის „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ მსმენელებისთვის პრაქტიკული კომპონენტი განახორციელონ უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში, გააცნონ კონკრეტული სამუშაოს სპეციფიკა, მუშაკისადმი წამოყენებული მოთხოვნები და შრომითი ეთიკა.

მოხდა ერთი პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

მსმენელის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, თუ როგორ მოხდება მსმენელების შეფასება და ჩანს, რომ შეფასება კომპეტენციების დადასტურებაზეა დაფუძნებული.

პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. მსმენელის შეფასების სისტემაში მითითებული მეთოდები შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატურია.

ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სწავლის შედეგები ვალიდურია, სანდო და სამართლიანი და საშუალებას იძლევა, დადგინდეს, მიაღწია თუ არა მსმენელმა პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

მსმენელი ინფორმირებულია პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების/წესის შესახებ.

ასევე მან ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ და აღნიშნა, რომ განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან, და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განმახორციელებელ ოთხ პირს აქვს უმაღლესი განათლება, მათგან სამს სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო ერთს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით. ორი მათგანი ამავე დროს სოფლის მეურნეობის დოქტორია, ასევე მათ აქვთ პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილება სოფლის მეურნეობაში. ასევე მეხუთე განმახორციელებელ პირს აქვს მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციას ადასტურებს ის სამუშაო გამოცდილება, რომელიც მათ CV-ებშია წარმოდგენილი და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობის დროს აქვთ მიღებული.

შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მათი შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.



აღნიშნულმა ორგანიზაციამ განაცხადის მიხედვით პროფესიული მომზადების პროგრამაზე მოითხოვა 40 მსმენელი, პროგრამა „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“, უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებაში მსმენელებისთვის გამოყოფილია A ტიპის ორი სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. სასწავლო გარემო აღჭურვილია მსმენელის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, განმარტებული სახეების სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით), საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით. A ტიპის სასწავლო გარემოში ადგილების რაოდენობა პროგრამის მსმენელთათვის სრულიად საკმარია.

პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ C გარემოში, რომლის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროგრამაში წარმოდგენილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალში არ იყო მითითებული მოცვის მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი რესურსები, როგორებიცაა: ნიადაგის დასამუშავებელი და სასუქის შემტანი აგრეგატები, რეზერვუარი პესტიციდების ხსნარის დასამზადებლად, სპეცტანსაცმლის კომპლექტი (კომბინეზონი, რეზინის ჩექმები და ხელთათმანები, დამცავი სათვალე, ქუდი, რესპირატორი ნახშირის ფილტრით), სასწორი სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების ასაწონად, სამუშაო ხელთათმანები (ბამბის, გარედან ლატექსით დაფარული), თუმცა როგორც დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისას გაირკვა, რომ ყველა საჭირო მატერიალური რესურსი გააჩნიათ და შესაძლებელია მათი გამოყენება. აღნიშნული ჩამონათვალი დაკონკრეტდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულების დანართში. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია, პროგრამაში ჩასწორდეს და მიეთითოს რეალურად არსებული ყველა მატერიალური რესურსი.

რაც შეეხება სასწავლო რესურსს, მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პროგრამაში მითითებულ სასწავლო რესურსში არ არის წარმოდგენილი ყველა ის სახელმძღვანელო, რაც მოცვის ბაღის გაშენებისა და მოვლისთვის არის აუცილებელი და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ვიზიტისას გაირკვა, რომ დაწესებულებას რეალურად ნამდვილად გააჩნია ყველა საჭირო ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ისე PDF ფაილებად წარმოდგენილი ელექტრონული სახით (მათ შორის, USAID-ის პროექტის ფარგლებში თარგმნილი დევიდ ფიჩას სახელმძღვანელო მოცვის ბაღის მოვლა მოყვანასთან დაკავშირებით), ძირითადი ლიტერატურა ქართულენოვანია და ამ ელექტრონული რესურსის მოძიება მსმენელს შეუძლია სასწავლო აუდიტორიაშივე. ამდენად, პროგრამის სასწავლო რესურსი მორგებულია მსმენელებზე და სრულად უზრუნველყოფს მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კერძოდ დაწესებულებას აქვს 2022 წლის 02 სექტემბრის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №146, რომლის მიხედვით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის პირველი ქ. №207-ში მდებარე შპს „კარტლის აგროსისტემების“ შენობის ხარმარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შპს „კარტლის აგროსისტემები“ ქართულ ბაზარზე უკვე 25 წელია მოღვაწეობს და მომხმარებელს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების, სათესლე მასალისა და სარწყავი სისტემების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. ამ პერიოდში კომპანიამ ფერმერებს შორის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მომწოდებლის სახელი დაიმკვიდრა. რადგან კომპანია მსოფლიოში არსებულ უახლეს პროგრესულ ტექნოლოგიებს არგებს ადგილობრივ პირობებს და



აწოდებს საქართველოში მოღვაწე ფერმერებს, რაც ხელს უწყობს ქართველ ფერმერებს წარმატების მიღწევაში. მიზანდასახული მუშაობის შედეგად, კომპანიამ ათასობით მომხმარებლის ნდობა მოიპოვა და დღეისათვის თავის დარგში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა.

შპს კარტლის აგროსისტემებს გააჩნია საკუთარი საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობები, სადაც კომპანია ცდის ახალ ჯიშებს და პრეპარატებს და ამუშავებს სხვადასხვა კულტურების მოყვანის უახლეს ტექნოლოგიებს. კომპანია ამაყობს იმით, რომ საქართველოში, პროფესიონალ ფერმერებში მისი სახელი ასოცირდება ცოდნასთან, ხარისხთან და გამოცდილებასთან.

კომპანიას გადამზადებული ყავს 6000 მდე ფერმერი, აქვს 14 ფილიალი საქართველოში.

მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით ბიზნესის წარმოებისათვის 2011 წ. 14 ივლისს ქ. ვაშინგტონში აშშ-ს კონგრესის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შენობაში კარტლის აგროსისტემებს გადაეცა სპეციალური ჯილდო, როგორც პესტიციდების დისტრიბუტორ საუკეთესო კომპანიას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს დოკუმენტები - „პროფესიული მომზადების პროგრამაზე /პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა გასაუბრების/კონკურსის საფუძველზე“ და აგრეთვე „პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ რომლებშიც გაწერილია თუ როგორ ხდება მსმენელების შერჩევა წარმოდგენილ პროგრამაზე, საკონკურსო კომისია წარმართავს შერჩევის პროცესს, ტარდება გასაუბრება, შედეგების მიხედვით ხდება შერჩევა.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აგებულია დემინგის ციკლის მიხედვით - დაგეგმე/განახორციელე/შეაფასე/განავითარე. ამ დოკუმენტის მიხედვით შემოწმდება სასწავლო გარემო, პროგრამის განმახორციელებელი პირი, მსმენელის ჩართულობა სასწავლო პროცესში, ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი კითხვარები: განმახორციელებელი პირის და მსმენელის კითხვარი, ასევე დამსაქმებელთა კითხვარები.

3.3, 3.5 და 3.6 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ გამოცდილების არ არსებობის გამო აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დარგის ექსპერტს, თუ რამდენად რელევანტურია, რომ თეორიული სწავლება წლის სხვა პერიოდში ხორციელდებოდეს, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის გადანაწილება მოხდეს სეზონურად და ამ მიმართულებით იყო ექსპერტის მხრიდან რეკომენდაცია გაცემული. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს იმსჯელეს ამ საკითხზე, მან განმარტა, რომ საქართველოში USAID-ის ორგანიზაცია, არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ სხვა სფეროსაც უწევს დახმარებას, ეს ორგანიზაცია ატარებდა სპეციალურად ტრენინგებს, ფაქტიურად მათ 5 კვირიანი სწავლება 5 თვეზე გადაანაწილეს, 2-3 კვირა მიმდინარეობდა თეორიული კომპონენტი, ხოლო შემდეგ ხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტი, რეალურად მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მიდიოდა დაკვირვება მცენარეთა განვითარების პროცესებზე, მოკლევადიანი პროგრამები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს პირდაპირ ამ ფორმატის გადმოტანა და ასეთი ფორმით სწავლება, სწავლების მეთოდიკა არ იძლევა ამის საშუალებას, შესაბამისად საშემოდგომო პროცესებში და ამ პერიოდში ნაკადის მიღების დროს შემოდგომაზე მსმენელი ვერ შეძლებს სრულ პროცესზე დაკვირვებას, აქედან გამომდინარე სასურველია ნაკადის მიღება მოხდეს გაზაფხულზე.

ზაირა ბერიძე დაინტერესდა საგაზაფხულო მიღების დროს იქნება თუ არა ის შედეგები დაფარული, რაზეც დარგის ექსპერტი აკეთებდა აქცენტს და რომელიმე სწავლის შედეგთან მიმართებით იყო თუ არა სეზონურობა ხელისშემშლელი ფაქტორი.

დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ აღნიშნა, რომ სასურველია კვირეული საათობრივი დატვირთვა იყოს ნაკლები და გაიზარდოს კვირეულის რაოდენობა, მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება შედეგებზე გასვლა.

სხდომის თავმჯდომარე ზაირა ბერიძე ასევე დაინტერესდა, კვირეულის გაზრდის შემთხვევაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფორმატი დაირღვევა თუ არა და რამდენად სწორია ასეთი რეკომენდაციის გაცემა დარგის ექსპერტის მხრიდან.

ამასთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნამდვილად არ შეეშლებოდათ ხელი პროგრამის განხორციელებაში, ანუ პროგრამაში იქნებოდა წყვეტა და შემდეგ მოხდებოდა გაგრძელება, თუმცა მან ასევე დასძინა, რომ პროგრამაში წყვეტა გამოიწვევდა ხარისხის ვარდნას, გარდა ამისა ელექტრონულ პორტალზე და სისტემურად ასეთი პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, ამდენად მიზანშეწონილად ჩათვალეს, ვინაიდან პროგრამა უნდა გაიწეროს კვირეულის მიხედვით, შესაბამისად გაიზარდოს კვირეულის რაოდენობა.

საბჭოს წევრმა ნათია კვიციანი დასვა კითხვა დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რამდენად არის საკმარისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საბაზო განათლება, მაშინ როდესაც სწავლის შედეგები ამბიციურად ჟღერს, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის პირები, რომლებიც ამ პროგრამაზე ისწავლიან, ლაბორატორიულ კვლევას ვერ ჩაატარებენ, ისინი მიიღებენ ცოდნას მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ნიადაგის ნიმუშის აღება სწორად, ამრიგად, აღნიშნული დაშვების წინაპირობა წარმოდგენილი პროგრამისთვის მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ მაღლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება. ორგანიზაციის დირექტორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მაღლობა გადაუხადა დარგის ექსპერტსა და ცენტრის წარმომადგენელს გაწეული სამუშაოსათვის და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანია საქართველოს ბაზარზე მოღვაწეობს 25 წელია და შესაბამისად გარკვეული სტაჟის მქონე კომპანიაა, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აწვდის ფერმერებს სათესლე მასალას, სასუქებს, სტიმულატორებს და ასევე ყველა საჭირო მასალას, რაც ჭირდება ფერმერებს იმისთვის, რომ მიიღონ მაღალი მოსავალი. მან დასძინა, რომ საქართველოს ბაზარი იყო არაპროფესიონალური და ცოდნის დონე იყო ძალიან დაბალი, დაბალი დონე თავისთავად გამომდინარეობს იქიდან, რომ ადრე საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო კოლმეურნეობები, რომელსაც ჰყავდა აგრონომები, სხვადასხვა სპეციალისტები, თუმცა შემდეგ ეს სისტემა მოიშალა, ფაქტიურად ყველამ დაიწყო ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად მოსავლის მოყვანა, რამაც გამოიწვია ის, რომ აღებული მოსავალი არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონის მსოფლიოში, ფერმერი შესაბამისად შედეგს ვერ იღებს. თავდაპირველად ორგანიზაციას არ ჰქონდა დაგეგმილი ასეთი ტიპის პროგრამის განხორციელება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ფერმერებს არ ჰქონდათ ელემენტარული წარმოდგენა ნიადაგის მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ელემენტარულად საბაზისო ცოდნაც კი არ ჰქონდათ, იმ დროისათვის არ არსებობდა მეტნაკლებად პრაქტიკაში გამოსადეგი ინსტრუქციათა კრებული და ფერმერებს ხშირად საკუთარი ან ნაცნობი ფერმერების მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაყრდნობით უწევდათ დაშვებული შეცდომების გამოსწორება, მაგრამ მრავლად ადგილი ჰქონდა გამოუსწორებელი შეცდომების დაშვების შემთხვევებს. რადგან ქვეყანაში არ არსებობდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების საშუალება, ამ ამოცანის შესრულება იკისრა კარტლისის აკადემიამ მისი მაღალკვალიფიციური პერსონალისა და ცნობილი უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, კერძოდ, ფერმერთა განათლების პროგრამების შედგენასა და სწავლებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ისეთი მსოფლიოში

ცნობილი კომპანიების სპეციალისტები, როგორცაა ესპანური კომპანია „SAS“-ს და ჰოლანდიური კომპანია „დელფი“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწინავე ქვეყნებში მიმდინარეობს განუწყვეტელი მუშაობა მოცვის როგორც ახალი ჯიშების გამოყვანის, ასევე მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნის საქმეში. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ გაიზარდოს მიღებული მოსავლის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები პროდუქტის თვითღირებულების შემცირების პირობებში. სწორედ ამიტომ აკადემიის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომ ქართველი ფერმერები არ ჩამორჩნენ ამ უახლეს მიღწევებს და არ გახდნენ არაკონკურენტუნარიანები მსოფლიო ბაზარზე, მითუმეტეს, რომ საქართველოში მოყვანილი 95%-ზე მეტი გამოიზნულია ექსპორტისათვის, აქედან გამომდინარე დაიწყო ფიქრი კომპანიამ, ასეთი პირებისთვის მიეწოდებინა გარკვეული ცოდნა. კომპანიამ დაიწყო სემინარების ჩატარება ფერმერებისთვის, ასევე მათი ცოდნის დონის ასამაღლებლად გაიგზავნა პირები უცხოეთში, კერძოდ, ისრაელში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და ა. შ. ასევე კომპანიას ჩამოყავს უცხოეთიდან ექსპერტები, კერძოდ ისეთი ექსპერტები, რომლებიც არიან თავიანთ დარგში ცნობილები და წამყვანები. ისინი ატარებენ ტრენინგებს და გამოცდილებას უზიარებენ ფერმერებს, სწორედ ამან განაპირობა ასეთი ტიპის პროგრამების შემუშავება და ცენტრში წარმოდგენა.

შემდეგ მან ისაუბრა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ სწავლის შედეგზე - „ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა, მისი შედეგების განხილვა, ნიადაგის გამოკვება“ და აღნიშნა, რომ მსმენელი ამ შედეგის ფარგლებში ელემენტარულად ეცნობა ნიადაგის სახეებს, ნიადაგის მჟავიანობას, რომ მოხდეს სასუქების სწორად შერჩევა კონკრეტულ შემთხვევებში, შესაბამისად ეს შედეგი არ გულისხმობს ნიადაგის სრულ ლაბორატორიულ კვლევას, არ ცილდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების კომპეტენციის ფარგლებს, მსმენელი იღებს მხოლოდ ელემენტარულ ცოდნას, იმასთან დაკავშირებით, რომ შეძლოს სასუქების სწორად შერჩევა ნიადაგის შედგენილობიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და გამოეთქვა თავისი მოსაზრება.

ამასთან დაკავშირებით ისაუბრა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლელა გვასალიამ, მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამების შემუშავება მოხდა რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე და დასძინა, რომ აღნიშნულ პროგრამებს კომპანია ახორციელებს დიდი ხანია. რაც შეეხება პროგრამების სეზონურობის საკითხს, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ კომპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე ამის რეალური შედეგი აქვს კომპანიას.

რაც შეეხება პროგრამის ხანგრძლივობის საკითხს, პროგრამით გათვალისწინებული 5 კვირა შეიძლება დაიწყოს და დასრულდეს მოსავლის აღების დროს. მოსავლის აღებაზე ძალიან დიდი აქცენტი აქვს გაკეთებული კომპანიას იმიტომ, რომ ხარისხიანი მოსავლის მიღება ერთია, და მისი სიმწიფის დროის განსაზღვრა და კრეფა სწორად და შენახვის პირობების ახსნა კარგად ფერმერისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ თუ ხუთკვირიანი პროგრამის სწავლება დაიწყება მარტში და დასრულდება მოსავლის აღების დროს მაისის ბოლოს, თუმცა კომპანიას აქვს იმის საშუალება, რომ სათბურშიც შეუძლიათ ნახონ მსმენელებმა ეს პროცესები თანმიმდევრულად, ფერმერებიც ინტენსიურად აშენებენ მოცვს, შესაბამისად შესაძლებელია ადრე ნახონ მოსავლის აღების პროცესი, თუნდაც მარტი-აპრილის შუა რიცხვებისათვის. ამაში კომპანია პრობლემას ვერ ხედავს. თუმცა, შესაძლებელია ეს რეკომენდაციაც გაითვალისწინოს კომპანიამ და გაზაფხულზე მოხდეს 80 მსმენელის მიღება და დასრულდეს სწავლება მოსავლის აღების პროცესით.

სხდომის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა კომპანიის წარმომადგენელს მსმენელთა რაოდენობასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ განაცხადით წარმოდგენილი იყო მოთხოვნა 40 მსმენელზე, რომელიც დასკვნაშიც არის ასახული და თხოვა ამასთან დაკავშირებით განემარტა ორგანიზაციის წარმომადგენელს.

ხარისხის მართვის სპეციალისტმა მაია ხურცილავამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომპანიას ორჯერად მიღებაზე ჰქონდა აქცენტი აღებული, რასაც გეგმავდნენ რეგიონის მოთხოვნიდან გამომდინარე, სულ 80 მსმენელის მიღებას, ერთჯერადად 40 მსმენელის მიღებას. ლანა გაჩეჩილაძემ განმარტა, რომ განაცხადის დოკუმენტში დაფიქსირებულია მოთხოვნა 40 მსმენელზე, სამწუხაროდ ამ მოცემულობიდან გამომდინარე კომპანიას მხოლოდ 40 მსმენელის მიღება შეუძლია ერთჯერადად. ამდენად ამ წარმოების ფარგლებში ვერ იქნებოდა გამართული მსჯელობა გაზრდილ რაოდენობაზე, ეს სხვა წარმოების ფარგლებში უნდა მომხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორ მიღებაზე, შემოდგომაზე და გაზაფხულზე მიიღებდნენ 40-40 მსმენელს, რაშიც ისინი პრობლემას ვერ ხედავდნენ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანი დალაქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დასკვნაში ნამდვილად 40 მსმენელია დაფიქსირებული, რაც შეეხება 80 მსმენელის მიღების საკითხს, არც ვიზიტის დროს არ გაჟღერებულა ეს საკითხი და არც დასკვნაში არის ასახული, მან დასძინა, რომ გადაწყვეტილებაში ჩაიწერებოდა 40, ვინაიდან ვიზიტის დროს რესურსები შეფასდა 40 მსმენელზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ვინაიდან კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს, კენჭისყრაზე დაეყენებინათ აღნიშნული საკითხი. თუმცა ლანა გაჩეჩილაძემ განმარტა, რომ ვინაიდან განაცხადში ფიქსირდება ერთი ხარვეზი პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, ასევე დარგის ექსპერტიც აფიქსირებს, რომ შედეგის მიღწევა ვერ მოხდება ამ ხანგრძლივობით, საბჭომ უნდა იმსჯელოს ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემაზე.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დააფიქსირა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ თუ ექსპერტის აზრით შედეგი ვერ მიიღწევა და ხანგრძლივობა არის დასაკორექტირებელი, სასურველია ორგანიზაციას მიეცეს ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, რის საშუალებასაც იძლევა პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების დროს მნიშვნელოვანია დარგის ექსპერტის მოსაზრება, შესაბამისად ცალსახად უნდა მოხდეს ხარვეზის გამოსწორება.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ მიმართა დარგის ექსპერტს მზია ბერუაშვილს წარედგინა საბჭოს წინაშე მეორე და მესამე საკითხი, რის შემდეგაც საბჭო იმსჯელებდა და სამივე საკითხზე ერთად მიიღებდა გადაწყვეტილებას, რასაც დათანხმდა სხდომის თავმჯდომარე ზაირა ბერიძე.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სამივე პროგრამაში განმცხადებელს ერთი და იმავე მიდგომა აქვს, ყველა პროგრამას, ასე ვთქვათ, წყვეტა სჭირდება, თანმიმდევრულად და უწყვეტად სწავლება არ მიმდინარეობს (ზეპირი განმარტებით სასწავლო პროცესი იქნება თვეში 4-5 დღე), სასურველია საბჭომ მოისმინოს დანარჩენ ორ პროგრამაზე როგორია მათი მიდგომა, თუმცა ერთი კითხვა მაინც რჩება, სეზონურობასთან დაკავშირებით, სასოფლო სამეურნეო პროგრამების სპეციფიკა იმიტომაც განსხვავებული, რომ აგროვადებს უნდა მიყვებოდეს პროგრამა, შეიძლება ისეთი პროცესი მიდიოდეს მოცვის პლანტაციებში, რომლის სწავლება დასჭირდება მსმენელს, შესაბამისად, უკეთესი იქნება სრული ხანგრძლივობა იყოს მეტი და კვირეული დატვირთვა - ნაკლები, ისეთი თემები, როგორცაა ნიადაგის მომზადება, თუ გასხვლა, დასრულებული მოსავლის აღებით და დაბინავებით, ანუ მთლიანად თანმიმდევრობით უნდა სწავლობდეს ამ პროცესებს. ასეთი ტიპის პროგრამა არ

ყოფილა შემოსული ცენტრში, რომელში სწავლებაში წყვეტილობა იქნებოდა განსაზღვრული, ამიტომ ჭირს გადაწყვეტილების მიღება. ყველა წარმოდგენილი პროგრამა იყო უწყვეტი და ერთიან დროს ითვალისწინებდა, შეიძლება კვირეული დატვირთვა იყო მცირე, თუმცა ყოველ კვირაში გარკვეულ საკითხებს სწავლობდნენ აგროპროცესებთან მიხედვით, მან თხოვა დარგის ექსპერტებს არ დაეტოვებინათ საბჭო და თავიანთი შეფასებები გაეჟღერებინათ კიდევ ერთხელ. ორგანიზაციის დირექტორმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომპანია წლებია ამ საქმეს აკეთებს და პრაქტიკამ აჩვენა, რომ არც ერთი ფერმერი არ მოვა სასწავლებლად ამ ხანგრძლივობის პირობებში, ეს პროგრამა შემუშავებულია იმათთვის, ვისაც რეალურად ჭირდება ცოდნის მიღება, აქედან გამომდინარე ის ერთი კვირა არ დაესწრება არანაირ სწავლებას, აღნიშნული პროგრამა ისე იყო დაგეგმილი და შერჩეული, რომ ეს იყო რეალობასთან ახლოს, კომპანიის სურვილი იყო რეალურად მიეღოთ ცოდნა ამ პირებს და რეალური შედეგი მიეღოთ.

ნანი დალაქიშვილმა ამასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ ის პროგრამები რომელზედაც უნდა მიიღოს კომპანიამ განხორციელების უფლება, უნდა იყოს აუცილებლად სამუშაოზე დაფუძნებული, მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების შექმნა, აქცენტი პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს მზია ბერუაშვილს, რომელსაც უნდა წარედგინა შემდეგი ორი საკითხი, მეორე და მესამე საკითხის პრეზენტაცია ერთიანად წარმოედგინა, რაზეც დარგის ექსპერტი დათანხმდა და პრეზენტაცია წარმოადგინა ორივე საკითხზე ერთად.

**2. შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**3. შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 ნოემბრის №1412176 და №1412174 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა განახორციელეს ვიზიტი შპს კარტლის აგროსისტემებში მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფ. ქვიტირი, I ქუჩა №207.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამების „ვაზის გაშენება და მოვლა“ და „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ორივე პროგრამის შემთხვევაში დაფიქსირდა ანალოგიური ხარვეზები და ასევე გაიცა ანალოგიური რეკომენდაციები, კერძოდ „ვაზის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში

**ქვესტანდარტი 1.4.** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საბაზისო ცოდნა არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 5 კვირაში. საჭიროა, გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები, რადგან პროგრამით წარმოდგენილი შედეგების თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების (ვაზის ჯიშების შერჩევა-გაშენებით დაწყებული და მოსავლის აღება-დაბინავებით დამთავრებული) 5 კვირიან ვადაში სწავლება არსებული წინაპირობებით შეუძლებელი იქნება.

**ქვესტანდარტი 1.7.** პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა არ შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის აღწერისას მითითებულია, რომ პროგრამა სეზონურია და ითვალისწინებს სწავლებას გაზაფხულზე ან შემოდგომით. საჭიროა, მეტი დაკონკრეტება. პროგრამის მითითებული ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შედეგები მიიღწევა მხოლოდ პროგრამის წყვეტის გზით. ასეთ შემთხვევაში გაზაფხულზე მიღებული მსმენელი ვენახის საშემოდგომო სამუშაოებს და მოსავლის აღება-დაბინავებას შეისწავლის შემოდგომით. შემოდგომით კი მსმენელის მიღება ვერ განხორციელდება, რადგან შედეგების კვირეული თემატიკების არსებული თანმიმდევრობის დაცვა შეუძლებელი იქნება.

რეკომენდაცია: **ქვესტანდარტი 1.6.** პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის შედეგების დასახელების ფორმულირება ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

ხოლო „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში **ქვესტანდარტი 1.4.** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

წარმოდგენილი პროგრამით და დაშვების არსებული წინაპირობებით მითითებულ მცირე დროში (6 კვირიან ვადაში) სწავლის შედეგების მიღწევა მხოლოდ საბაზისო განათლებით შეუძლებელი იქნება. საჭიროა, პროგრამაში დაკონკრეტდეს უშუალოდ ამ ზონისათვის დამახასიათებელი ბოსტნეული კულტურები (მაგ. სასალათე კულტურები, მწვანილი და ა.შ.) ან გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები.

**ქვესტანდარტების 1.7 და 1.6** რეკომენდაციები ამ პროგრამების შემთხვევაში ანალოგიურია.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამების საჭიროების დასაბუთებაზე, მან აღნიშნა, რომ ვაზის და მისი პროდუქტების მნიშვნელობა და როლი ქართულ სოფლის მეურნეობაში უზარმაზარია და განსაკუთრებული ადგილი უკავია. იმერეთი ხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი მსხვილი რეგიონია და გამორჩეულია მეღვინეობის სანედლეულო რესურსების მრავალფეროვნებით. შუა და ზემო იმერეთში უძველესი ადგილობრივი ჯიშები: ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ძელშავი, ალადასტური, კაპისტონი თეთრი და წითელი იძლევიან უმაღლესი ხარისხის ევროპულ და ორიგინალურ იმერული ტიპის, მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე მშრალ თეთრ, ვარდისფერ და წითელ ღვინოებს. შესაბამისად ამ ზონაში მრავლად არიან როგორც უკვე

ცნობილი მევენახეები, ისე ახალი ვენახის გაშენებით და ყურძნის წარმოებით დაინტერესებული ფერმერები. წარმატებების მისაღწევად კი ეს დარგი კი, რა თქმა უნდა, საჭიროებს კვალიფიციურ პერსონალს. ამდენად, „ვაზის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის წარმოდგენა საკმაოდ აქტუალურია იმერეთის ზონისათვის. ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება დაწესებულებას მიღებული აქვს გარკვეულ მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით. „კარტლის აგროსისტემებს“ ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხულია 40 რესპოდენტი, კვლევა ეყრდნობა ასევე დიდი ფერმერული მეურნეობების მხრიდან მიღებულ მონაცემებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს შრომის ბაზარზე მევენახეების კვალიფიციური კადრის მოთხოვნას.

რაც შეეხება „ბოსტნეული კულტურის მოყვანას და მოვლას“, მან აღნიშნა, რომ ბოსტნეული ადამიანის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია, ამიტომ ამ კულტურების წარმოება, საღი და უდანაკარგო მოსავლის მიღება და მომხმარებლისთვის მიწოდება ერთ-ერთი მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია საკითხია აგრარულ სფეროში. მებოსტნეობას ფართო ადგილი აქვს დათმობილი ქართულ სოფლის მეურნეობაშიც. წყალტუბოს ზონა ერთ-ერთი საუკეთესო არეალია ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. აქ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აწარმოებენ სასალათო და მწვანილო კულტურებს. შესაბამისად ამ ზონაში მრავლად არიან ბოსტნეულის მოყვანით დაინტერესებული ფერმერები, რომლებიც საჭიროებენ როგორც ამ დარგის კვალიფიციურ პერსონალს, ისე გარკვეულწილად პირადად სურთ ცოდნის მიღება. ამდენად, „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის წარმოდგენა საკმაოდ აქტუალურია წყალტუბოს ზონისათვის. ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება დაწესებულებას მიღებული აქვს გარკვეულ მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით. „კარტლის აგროსისტემებს“ ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხულია 40 რესპოდენტი, კვლევა ეყრდნობა ასევე მსხვილი ფერმერული მეურნეობების მხრიდან მიღებულ მონაცემებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს შრომის ბაზარზე ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის კვალიფიციური კადრის მოთხოვნას.

წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და მათი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმავია ერთმანეთთან. პროგრამებში მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე, მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე - ვაზის გაშენება და მოვლა დაშვების წინაპირობები და პროცედურები (გასაუბრება/კონკურსი) უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა საბაზისო განათლების სახით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა არა იმ ვადებში, რაც აღნიშნული პროგრამით არის გათვალისწინებული. საბაზო განათლების მქონე პირებს აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს „ვაზის გაშენება და მოვლა“ მე-3 საფეხურის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლას და სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ არა 5 კვირაში, არამედ მინიმუმ 14-16 კვირის ფარგლებში. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საბაზისო ცოდნა არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 5 კვირაში. საჭიროა, გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები, რადგან პროგრამით წარმოდგენილი შედეგების თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების (ვაზის ჯიშების შერჩევა-გაშენებით დაწყებული და მოსავლის აღება-დაბინავებით დამთავრებული) 5 კვირიან ვადაში სწავლება არსებული წინაპირობებით შეუძლებელი იქნება.

ხოლო პროგრამაზე - „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ საბაზო განათლების მქონე პირებს აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებით, რაც



უზრუნველყოფს „ბოსტნეული კულტურების მოყვანა და მოვლა“ მე-3 საფეხურის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლას და სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ არა 6 კვირაში, არამედ მინიმუმ 12-15 კვირის ფარგლებში.

ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საბაზისო ცოდნა არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 6 კვირაში. საჭიროა, პროგრამაში დაკონკრეტდეს უშუალოდ ამ ზონისათვის დამახასიათებელი ბოსტნეული კულტურები (მაგ. სასალათე კულტურები, მწვანილი და ა.შ.) ან გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები, რადგან ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ყველა ჯგუფის წარმომადგენელთა ბიოეკოლოგიური და აგროტექნიკური თავისებურებების, მათი გაშენების, მოვლის და მოსავლის აღება-დაბინავების თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების 6 კვირიან ვადაში ჩატევა მხოლოდ საბაზისო განათლებით შეუძლებელი იქნება.

აღნიშნული პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით.

წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, კერძოდ ნათლად ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი, როგორ გააცნობიერებს მიღებულ ცოდნას და როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას რეალურ სამუშაო გარემოში, თუმცა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

რაც შეეხება პროგრამების ხანგრძლივობას/მოცულობას/მსმენელის სასწავლო დატვირთვას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ვაზის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 5 კვირაა, მაქსიმალური კვირეული დატვირთვა 25 საათია, რომელიც მხოლოდ მე-2 და მე-3 კვირაშია, დანარჩენ შემთხვევაში კი კვირეული დატვირთვა 10-დან 20 საათამდე მერყეობს. საათების სრული რაოდენობა შეადგენს 90 საათს. პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებულია მსმენელთა გარკვეული ინდივიდუალური საჭიროებები. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობები განხორციელდება მხოლოდ რეალურ გარემოში - დაწესებულების შესაბამის აუდიტორიაში ან პრაქტიკის ობიექტზე.

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა არ შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ვაზის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, ჯიშების შერჩევა, ნიადაგის მომზადება, დაგეგმვა, ქარსაფარის გაშენება, ვენახის გაშენება, ვაზის სხვა-ფორმირება, სხვა მწვანე ოპერაციების ჩატარება, ვაზის გამოკვება, ვაზის სტრეს-ფაქტორების, მავნებელ-დაავადებებისა და სარეველების შესწავლა, მათი მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებების ჩატარება სათანადო მანქანა-დანადგარებით და უსაფრთხის წესებით დაცვით, რთველის ვადების განსაზღვრა და მოსავლის აღება-დაბინავება - ესაა საკმაოდ დიდი მოცულობის თეორიული და პრაქტიკული სამუშაო, რომლის 5 კვირაში საფუძლიანად სწავლება და შედეგებზე გასვლა, მით უფრო მხოლოდ საბაზისო განათლების მქონე მსმენელებისთვის, პრაქტიკულად შეუძლებელია.

მეოთხე შედეგის -“ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა, მისი შედეგების განხილვა, ნიადაგის გამოკვება” თემატიკაში, სადაც შეისწავლება ნიადაგის დამუშავებასთან, სასუქებთან, რწყვასთან დაკავშირებული საკითხები და პრაქტიკული სამუშაოები, შეტანილია, აგრეთვე ვაზის სხვა-ფორმირება და მწვანე ოპერაციები. ყველა ამ საკითხის მითითებულ შედეგში შეტანა არც ლოგიკურია და პრაქტიკულად ვერც განხორციელდება ერთ კვირაში. საჭიროა, ამ შედეგიდან ამოვიდეს და ცალკე შედეგად ჩამოყალიბდეს ვაზის სხვა-ფორმირების საკითხები სათანადო კვირისა და საათების დამატებით.

პროგრამის აღწერისას მითითებულია, რომ პროგრამა სეზონურია და ითვალისწინებს სწავლებას გაზაფხულზე ან შემოდგომით. სასურველია, მეტი დაკონკრეტება. პროგრამის მითითებული ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შედეგები მიიღწევა მხოლოდ პროგრამის წყვეტის გზით. ასეთ შემთხვევაში გაზაფხულზე მიღებული მსმენელი ვენახის საშემოდგომო სამუშაოებს და მოსავლის აღება-დაბინავებას შეისწავლის შემოდგომით. შემოდგომით კი მსმენელის მიღება ვერ განხორციელდება, რადგან შედეგების კვირეული თემატიკების არსებული თანმიმდევრობის დაცვა შეუძლებელი იქნება.

„ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის საათების სრული რაოდენობა შეადგენს 110 საათს. მაქსიმალური კვირეულ დატვირთვა 25 საათია (მხოლოდ მე-5 კვირა), დანარჩენ შემთხვევაში კი კვირეული დატვირთვა 10-დან 20 საათამდე მერყეობს. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური. საჭიროა, პროგრამაში დაკონკრეტდეს უშუალოდ ამ ზონისათვის დამახასიათებელი ბოსტნეული კულტურები ან გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ძირითადი ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების სწავლებისას თემატიკით წარმოდგენილი თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების 6 კვირიან ვადაში ჩატევა და საფუძვლიანად სწავლება შეუძლებელია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მე-2 (ბოსტნეული და კულტურების ბიოლოგიური და საწარმოო თავისებურებების დახასიათება და ჯიშების აღწერა) და მე-3 შედეგის (ბოსტნის გაშენება) მიღწევა გათვალისწინებულია ერთად მე-2 კვირაში. ორივე მათგანის წარმოდგენილი თემატიკა საკმაოდ მოცულობითია და ითვალისწინებს როგორც ცალკეული კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიურ დახასიათებას, ისე ჯიშების შერჩევას, თესლბრუნვებს, საბოსტნე ნაკვეთის შერჩევას, ტექნოლოგიური რუქის შედგენას, ნიადაგის დამუშავებას, თესლის ხარისხის მაჩვენებლოებს, სათესლე და სარგავი მასალის შექმნის პირობებს, თესვისა და რგვის მეთოდებს, ნორმებსა და წესებს, თესლის მომზადებას დასათესად, სათბურის ტიპებს, კონსტრუქციებს და დახურული გრუნტის მოწყობას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემებს, რწყვის მეთოდების შერჩევის კრიტერიუმებს, ნიადაგში ტენიანობის განსაზღვრის მეთოდებს და საშუალებებს, ასევე მორწყვის წესებს. საჭიროა, პროგრამაში მოხდეს ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კონკრეტული სამიზნე ჯგუფის მითითება ან ამ შედეგების სხვადასხვა კვირაში გამიჯვნა და საათების გაზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ შედეგების მიღწევა 20 საათში და ერთი კვირის განმავლობაში რეალურად შეუძლებელი იქნება. ბოსტნეული კულტურების წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა სეზონურია და ითვალისწინებს სწავლებას გაზაფხულზე ან შემოდგომით.

მან ასევე ისაუბრა სწავლების მეთოდებზე და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი სწორადაა დაგეგმილი და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესს წარმართავს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც დაწესებულების აუდიტორიაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შპს კარტლის აგროსისტემებს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ 2 მეწარმე სუბიექტთან, რაც მაქსიმალურად დაეხმარება მსმენელებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა (დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების) უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, მატერიალური რესურსები, მსმენელთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, ასევე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის შემთხვევაში პროგრამების განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის.

შპს კარტლის აგროსისტემებს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ სუბიექტთან, რაც მაქსიმალურად დაეხმარება მსმენელებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა (დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების) უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, მატერიალური რესურსები, მსმენელთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, ასევე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა.

დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა მსმენელთა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს პროგრამებიც იმავე ორგანიზაციისაა, ეს ქვესტანდარტი შეფასდა ანალოგიურიურად.

ასევე მან ისაუბრა ადამიანური რესურსების შესახებ და აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამების განმახორციელებელ ხუთივე პირს აქვს უმაღლესი განათლება, მათგან სამი სოფლის მეურნეობის სფეროში, ერთს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის და ერთსაც წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის მიმართულებით. ორი მათგანი ამავე დროს სოფლის მეურნეობის დოქტორია, ასევე აქვთ პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილება, როგორც ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში, ისე უშუალოდ მევენახეობაში. პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის შესაბამისობა დასტურდება აგრეთვე სერტიფიკატებით და იმ სამუშაო გამოცდილებით, რომელიც მათ CV-ებშია წარმოდგენილი და სოფლის მეურნეობის დაკავშირებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობის დროს აქვთ მიღებული.

ასევე წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებაში მსმენელებისთვის გამოყოფილია A ტიპის ორი სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. სასწავლო გარემო აღჭურვილია მსმენელის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, განმახორციელებელის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით), საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით. A ტიპის სასწავლო გარემოში ადგილების რაოდენობა პროგრამის მსმენელთათვის სრულიად საკმარია. ხოლო პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ C გარემოში, რომლის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

მან ასევე ისაუბრა სხვა ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც ანალოგიურია პირველ საკითხში წარმოდგენილი შეფასების.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. მან მიმართა საბჭოს წევრებს გამოიყენებინათ სათათბირო დრო, რაზეც საბჭოს წევრებისგან მიიღო თანხმობა.

სანამ საბჭოს წევრები გავიდოდნენ სათათბიროდ, დაწესებულების წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს მიეცა კომენტარის გაკეთების საშუალება. მან აღნიშნა, ბოსტნეული კულტურების მოყვანა და მოვლასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან

წარმოდგენილი პროგრამა უფრო ზოგადი ხასიათისაა, მოიცავს ზოგადად ბოსტნეულს, თუ რეგიონის სპეციფიკა იქნება გათვალისწინებული და პროგრამა უფრო დაკონკრეტდება, კერძოდ სალათის ფოთლების და პომიდვრის კულტურის მოყვანა და მოვლა, თუ არის შესაძლებელი ასეთი სახით 6 კვირაში განხორციელდეს აღნიშნული პროგრამა, რაზეც დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში თემატიკა იქნებოდა შესაბამისად შესაცვლელი, კონკრეტულად სალათის ფოთლებსა და პომიდვრის კულტურაზე, თუმცა 6 კვირაში, მხოლოდ სალათის ფოთლების შემთხვევაში, მისი ვეგეტაციის პერიოდის გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს და დასძინა, რომ ვინაიდან პომიდვრის კულტურას ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი აქვს, დათესვიდან სანამ გადაირგვება ღია გრუნტში 30-35 დღე ჭირდება, შემდეგ მისი განვითარების, ვეგეტაციის პროცესი არ იძლევა იმის საშუალებას პომიდვრის კულტურის შემთხვევაში 6 კვირაში მოესწროს, თუმცა სალათის ფოთლების შემთხვევაში შესაძლებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან კომპანიას აქვს ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმი, მათ აქვთ რამდენიმე სათბური, შესაბამისად ყველა ფაზაში არის შესაძლებელი მსმენელის/ფერმერების მიყვანა და ჩვენება, თუმცა დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ჩვენება არ არის საკმარისი, თვითონ უნდა აკეთონ მსმენელებმა პრაქტიკულად.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის და ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომ საბჭოს სხდომა არ იყო ამის განხილვის ფორმატი. ამის შემდეგ საბჭოს გავიდა სათათბიროდ.

საბჭოს წევრების სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სამივე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგის მიხედვით, სამივე პროგრამის შემთხვევაში ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისად, მისცა რეკომენდაცია განმცხადებელს, გადაეხედა პროგრამების ხანგრძლივობისთვის და ხანგრძლივობა დაეკავშირებინა სეზონურობასთან. ხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

## **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა /01504/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ვაზის გაშენება და მოვლა /01503/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა /01502/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

**4. სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ /01516/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 ნოემბრის №1445810 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2022 წლის 21 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ლაკადაში“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ.ჯვარი. ყაზბეგის ქუჩა №2, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ ორივე პირთან, ასევე გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი და კოლეჯის C გარემო (სახელოსნო).

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.9 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, **ქვესტანდარტი 1.9** - პროფესიული მომზადების პროგრამაში „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ შესაბამის კვირეებში ჩაემატოს სასწავლო გარემოში განხორციელების ადგილი შპს „ქალაქმშენსერვისის“ ბაზა და თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით ნათლად გამოიყოს თუ რამდენი საათი ექნება დათმობილი თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად წარმოებაში. აგრეთვე, მემორანდუმს თან დაურთონ იმ აღჭურვილობისა და მასალების სია, რომელზეც წარმოებაში სწავლის პერიოდში წვდომა ექნებათ მსმენელებს.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამის საჭიროების დასაბუთებისათვის კოლეჯმა გადმოაგზავნა მოწერილობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველის, სადაც იკითხება, რომ ისინი მიმდინარე წელს თანამშრომლობენ IWO6 „ჩემი სახლის მმართველი-შესაძლებლობები ნდობის აღდგენისთვის“ ფარგლებში საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრთან „აფხაზეთი“, სამშენებლო საქმის მიმართულებით და ახორციელებს შესაბამის პროგრამას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. აფხაზეთის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მსგავსი პროექტების განხორციელება საზღვართან ახლოს მდებარე რეგიონებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია გაეწია პროგრამის განხორციელებას ქ.ჯვარში არსებულ კოლეჯ „ლაკადას“ ბაზაზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი ადასტურებს, რომ მიმდინარე ეტაპზე მათი ჩართულობით კოლეჯთან ერთად მომზადდა პროგრამა: „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“. პროგრამა მიზნად ისახავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრის მომზადებას, რომელიც შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს დაამონტაჟოს: შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, შეძლებს შესაბამისი საზეინკლო სამუშაოების შესრულებას და გარე წყალმომარაგების ქსელიდან, შიდა წყალმომარაგების ქსელის დაერთებას, სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მიმოწერაც, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში სერტიფიცირებული მსმენელებისთვის გარდა დასაქმების შესაძლებლობისა, თითოეული მათგანისთვის 1500 ლარის ხელსაწყობის შეძენაც იგეგმება.

გარდა ამისა, კოლეჯი თანამშრომლობს შპს „ქალაქმშენსერვისთან“, რომელთანაც გაფორმებულია მემორანდუმი პროფესიული მომზადების პროგრამის „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ განხორციელებისთვის და დაწესებულების წარმომადგენლების თქმით მათი მხრიდან ფიქსირდება პროფესიული კადრების საჭიროება. შპს „ქალაქმშენის“ მიერ განხორციელდება როგორც მსმენელების სწავლებაში ჩართვა, ასევე მათი დასაქმებაც. შესაბამისად წარმოდგენილი მომზადების პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების პერსპექტივებს და აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

მან ასევე ისაუბრა სხვა ქვესტანდარტებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან. პროფესიული მომზადების პროგრამა „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ მიზნად ისახავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრის მომზადებას, რომელიც შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით შეძლებს დაამონტაჟოს შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, შეძლებს შესაბამისი საზეინკლო სამუშაოების შესრულებას და გარე წყალმომარაგების ქსელთან შიდა წყალმომარაგების ქსელის დაერთებას, სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟს. იგი შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შინაარსს. პროფესიული მომზადების პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება, რაც პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება, რომელიც ხორციელდება სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 1 ივნისის ბრძანებით №04/24 დამტკიცებული „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, კერძოდ მე-4 მუხლის „აპლიკანტთა ჩარიცხვა“ მოთხოვნათა დაცვით. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, მასში შესაძლოა შედიოდეს პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით და მისი შედეგები ფორმდება ოქმის სახით. ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, აქედან 19 კვირა ეთმობა პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევისთვის თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, მსმენელთა დატვირთვა კვირაში 18 საათია, ხოლო ბოლო, მე-20 კვირის 8 საათი დაეთმობა მსმენელთა შეფასებას. პროგრამა მოიცავს სულ 350 საათს.

ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია; დემონსტრირება; ინტერაქციული ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა; პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; გამოკითხვა.

მსმენელების სწავლება ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით და შესაძლებელია



გათვალისწინებული იქნას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, როგორც ზემოთ აღნიშნა, 1.9. ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ შესაბამის კვირებში ჩაემატოს სასწავლო გარემოში განხორციელების ადგილი შპს „ქალაქმშენსერვისის“ ბაზა და თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით ნათლად გამოიყოს თუ რამდენი საათი ექნება დათმობილი თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად წარმოებაში. აგრეთვე, მემორანდუმს თან დაურთონ იმ აღჭურვილობისა და მასალების სია, რომელზეც წარმოებაში სწავლის პერიოდში წვდომა ექნებათ მსმენელებს.

მან ასევე ისაუბრა მსმენელთა შეფასების სისტემაზე, კერძოდ დაწესებულებას 2019 წლის 6 დეკემბრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №04/113 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებსა და ტრენინგ კურსებში მსმენელთა შეფასების და შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც აღწერილია მსმენელთა შეფასება. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პროცესებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

შესაბამისად, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, პროგრამის განმახორციელებლად დაწესებულებას წარმოდგენილი ჰყავს ორი პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება. მან წარმოადგინა განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ორივე განმახორციელებლებთან გასაუბრება, აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად აქვთ მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

მან ასევე დასძინა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, პროფესიული მომზადების პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი სასწავლო გარემო (A), აუდიტორია №206 (30 კვ.მ) თეორიული კომპონენტისთვის და C გარემო (სახელოსნო 60 კვ.მ) პრაქტიკული სწავლებისთვის შესაბამისი აღჭურვილობით, რომელშიც განთავსებული და მოწყობილია პრაქტიკული სამუშაო ადგილი 10 მსმენელისათვის. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა დაწესებულების A და C გარემო.

ასევე დარგის ექსპერტმა ისაუბრა სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო სახელმძღვანელო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო ფართისა და აღნიშნული სასწავლო მასალის გადამოწმება. დასტურდება, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის, როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული სახით და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობას, მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის 22 ივლისის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის

მიწერილობა №333, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას შესასრულებელი აქვს ოთხი ღონისძიება (1. უზრუნველყოფილი იქნას შენობაში დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაციის გამართული მუშაობა; 2. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი/პანელი განთავსდეს სათავსში/ადგილზე, სადაც მიმდინარეობს 24 სთ-იანი მორიგეობა და გამოკრული იქნება ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგის მოქმედების წესის შესახებ. აღნიშნული სათავსი აღიჭურვოს სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ 3 გამართული ელექტრო ფარნით; 3. შენობაში დამონტაჟდეს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა; 4. შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟდეს ავარიული განათება), რომლის შესრულების ვადები არის 30 ნოემბერს და 30 დეკემბერს.

აგრეთვე, კოლეჯს დირექტორის მ/შ 2020 წლის 18 მაისის №04/21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შრომის

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებიც, რომლის მიხედვით კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები არიან მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი - შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მედდა - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ღონისძიებების მიმართულებით, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო გარემოში, მათ მიერ მეცადინეობების ჩატარების პროცესში. ვიზიტის დროს გადამოწმდა გაწერილი შესასრულებელი აქტივობები, დაწესებულებას შეუსრულებელი აქვს ორი აქტივობა, რომლის ვადებიც ჯერ გასული არ არის, დანარჩენი კი შესრულებული აქვს.

პროფესიული მომზადების პროგრამის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი უსაფრთხოების წესები და განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან პერმანენტულად ჩაუტარონ მსმენელებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, იგი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. დაწესებულება 2011 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც სსიპ კოლეჯი „ლაკადა“. განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას, რაც რეგიონის საზოგადოების პროფესიული დაკვალიანების მყარი გარანტიაა. კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ინჟინერიის, ბიზნესის ადმინისტრირების, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართულებებით.

დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი და პირობები“, რომლის მიხედვითაც გაწერილია ზოგადი დებულებები, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა, მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა, კოლეჯში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები. დგინდება, რომ იგი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს. დაწესებულებაში 2022 წელს ჩაირიცხა დახლოებით 45 მსმენელი ოთხ პროგრამაზე. დასტურდება, რომ კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს როგორც ვებგვერდის [www.lakada.edu.ge](http://www.lakada.edu.ge) , ასევე სოციალური ქსელის <https://www.facebook.com/ssipjvari> მეშვეობით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. კოლეჯ „ლაკადამ“ წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 24 მაისის №04/31 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, სადაც გაწერილია ზოგადი დებულებები, პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურები. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემდეგი მიმართულებით: ა) პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობა მისაღწევ სწავლის შედეგებთან; გ) განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ადეკვატურობა; დ) პროგრამის განმახორციელებლად გამოყოფილი მატერიალური რესურსების ადეკვატურობა და შეფასებისას გამოყენებული წყაროები და შეფასებისათვის გამოყენებული ფორმები: 1. კითხვარი პროგრამის განმახორციელებისათვის და 2. მსმენელის კითხვარი. ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, კითხვარები და მათი ანალიზი. კოლეჯი იყენებს პრობლემების ყუთსაც.

დაწესებულება უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, კერძოდ დაწესებულება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში [tvet.emis.ge](http://tvet.emis.ge) ასახავს პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაციას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონული სისტემა. დაწესებულების მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში [tvet.emis.ge](http://tvet.emis.ge) არ არის ატვირთული სერტიფიკატის დანართები, რის თაობაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: გამომდინარე იქიდან, რომ დანართი არის სერტიფიკატის განუყოფელი ნაწილი, დაწესებულებამ უზრუნველყოს მათი ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. კოლეჯი ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, როგორცაა, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული უნარების სააგენტო. ასევე ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მომზადების პროგრამების გავლის შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის სისწორე. დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

პრევენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის ფოტო მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ ზაირა ბერიძემ დასვა კითხვა საათობრივ დატვირთვასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში საუბარია იმაზე, რომ ტექნიკურად იყოს გაწერილი და თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით ნათლად გამოიყოს, წარმოებაში თუ რამდენი საათი ექნება დათმობილი თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად.

დაწესებულების წარმომადგენელი, ხარისხის მართვის მენეჯერი თამარ მანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და ცენტრის წარმომადგენელს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტის

მხრიდან გაცემული რეკომენდაცია კოლეჯმა სრულად გაიზიარა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა აღნიშნულ პროგრამაში. პრაქტიკის ობიექტის სურვილი იყო კოლეჯთან თანამშრომლობა, უბრალოდ დაფიქსირებული იყო ტექნიკური უზუსტობა, პროგრამიდან ეს არ ჩანდა, თუმცა ამ ეტაპზე ეს რეკომენდაცია ასახულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ „შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი“ /01516/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი /01516/ (დანართი).

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:03 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბერიძე ზაირა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01516	შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	20	ქართული	10	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2